ფორტეპიანო და მისი მოვლა

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს ფორტეპიანოს შესახებ და დავალებად აძლევს, მომდევნო კვირის განმავლობაში დაწერონ *ერთი ფორტეპიანოს ამბავი*, რომელშიც აღწერილი იქნება:

- რა ფორმისაა
- სად, რა პირობებში დგას
- რა მდგომარეობაშია
- ვინ იყენებს
- როგორ უვლიან

ეს, შესაძლოა, იყოს მხატვრული ტექსტი ან ინსტრუმენტის ზოგადი აღწერა.

გაკვეთილზე ისმენენ:

- კ. დებიუსის „მთვარის შუქს“ https://www.youtube.com/watch?v=RDAxQbgr4qc თავად კომპოზიტორის შესრულებით
- ფ. ლისტის „კამპანელას“ ცნობილი ვირტუოზი პიანისტის ლანგ ლანგის შესრულებით
- ლ. ვან ბეთჰოვენის „ელიზეს“, რომელიც ლანგ ლანგის კონცერტის ბმულზე მომდევნო ნაწარმოებია
- ლ. ვან ბეთჰოვენის მენუეტს (G-dur) Minuet in G Major, WoO 10, No. 2, რომელთან დაკავშირებით

მასწავლებელი უზიარებს მასალას:

1. ცნობილი ფრანგი პიანისტისა და დირიჟორის ფილიპ ენტრემონტის Philippe Entremont შესრულებით
2. აუდიო ჩანაწერი სანოტო ტექსტის თანხლებით

3. სანოტო ტექსტი მიბმული დოკუმენტის სახით.



მუშაობის პროცესში, მოსწავლეები, შესაძლოა, გაეცნონ და გამოიყენონ მასალა ფორტეპიანოს ისტორიაზე, თანამედროვე ინსტრუმენტის სახეებზე, რეპერტუარზე; გაუჩნდეთ ნაწარმოების გარჩევისა და შესრულების სურვილი.

შემდეგ გაკვეთილზე, სურვილის მიხედვით, მოსწავლეები წაიკითხავენ ერთმანეთის ნამუშევრებს და შემდეგ გამართავენ დისკუსიას თემაზე, *როგორ მოვუაროთ ფორტეპიანოს*. აყალიბებენ წესებს.[1]

მასწავლებელი უჩვენებს და აცნობს Steinway and Sons-ს საქართველოს წარმომადგენლობის მიერ შექმნილ პრეზენტაციას, რომელსაც განიხილავენ და ადარებენ მათ მიერ ჩამოყალიბებულ „როიალის მოვლის მარტივ წესებს“.

[1] გამოვლენილი ინტერესის მიხედვით, მოსწავლეები, შესაძლოა დაიყონ ჯგუფებად და ისე შექმნან წესები.